ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.05.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/14

შეკითხვა:

ადვოკატ ა-მ თავისი კლიენტი ბ, რომელიც მსჯავრდებულია, რამდენჯერმე მოინახულა საპატიმრო დაწესებულებაში გაუწია იურიდიული კონსულტაცია.

აღნიშნულ კლიენტსა და ადვოკატს შორის გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ადვოკატს უნდა მიეცეს ჰონორარი საადვოკატო მომსახურებისათვის, თუმცა კონკრეტულად ჰონორარის ოდენობაზე მხარეების არ შეთანხმებულან. შეუძლია თუ არა ადვოკატმა მოსთხოვოს კლიენტ ბ-ს გადაუხადოს მას ჰონორარის ის ოდენობა, რამდენსაც მოითხოვს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობა წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და შეთანხმებული კლიენტთან. მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მხარეები ზოგადად შეთანხმდნენ, რომ საადვოკატო მომსახურებისათვის კლიენტი ვალდებული იყო გადაეხადა ადვოკატისათვის ჰონორარი, თუმცა კონკრეტულად არ განუსაზღვრავთ, თუ რას მოიცავდა საადვოკატო მომსახურება, რომელშიც კლიენტს უნდა გადაეხადა თანხა, ასევე არ განსაზღვრულა ჰონორარის ოდენობა, გადახდის წესი. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატს

ეკუთვნის გასამრჯელო საადვოკატო მომსახურებისათვის, თუმცა კლიენტისათვის მისაღები უნდა იყოს ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი.

დასკვნა:

კლიენტისათვის წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი საადვოკატო მომსახურების ოდენობა და მისი გადახდის წესი. ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებისას მნიშვნელოვანია, განსაზღვრული და შეთანხმებული იყოს კლიენტთან ჰონორარის ოდენობა და მისი გადახდის წესი.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.